დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკრაინის მოქალაქე სტუდენტებისთვის 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ერთჯერადი საუნივერსიტეტო სტიპენდიის გაცემის წესი

1. სტიპენდიის მიზანი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - თსუ) უკრაინის მოქალაქე სტუდენტებისთვის 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ერთჯერადი საუნივერსიტეტო სტიპენდიის (შემდგომში - სტიპენდია) გაცემის მიზანია უკრაინაში არსებული მდგომარეობის შედეგად დაზარალებული უკრაინის მოქალაქეების (თსუ-ს სტუდენტების) ხელშეწყობა სასწავლო პროცესში მონაწილეობისთვის.

2. სტიპენდიის მიღებაზე უფლებამოსილი პირი

სტიპენდიის გაცემა შესაძლებელია 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე თსუ-ს უკრაინის მოქალაქე სტუდენტისთვის. ასევე, სტიპენდიის გაცემა შესაძლებელია უკრაინის მოქალაქე იმ სტუდენტთათვის, რომელთაც 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე მიენიჭათ თსუ-ში სწავლის გაგრძელების უფლება.

3. სტიპენდიის მოცულობა და პერიოდი

სტიპენდია გაიცემა 5 კალენდარული თვის განმავლობაში 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში და მისი მოცულობა განისაზღრება თვეში 150 ლარის ოდენობით.

4. სტიპენდიის გაცემის წინაპირობები

სტიპენდიის მიღების მიზნით კანდიდატი ვალდებულია წარადგინოს:

ა) განცხადება სტიპენდიის მოთხოვნის შესახებ (დანართი N2 შესაბამისად);

ბ) უკრაინის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პასპორტის) ასლი (ნათარგმნი და დამოწმებული ნოტარიულად).